საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№ 448 2019 წლის 4 სექტემბერი ქ. თბილისი

„ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/07/2015, 300160070.10.003.018763) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმპორტისათვის განკუთვნილი ტომრებით დაფასოებული ფქვილის გადაადგილებისას უზრუნველყოს მათი განთავსება პალეტებზე. ხის პალეტების გამოყენების შემთხვევაში, პალეტები დამუშავებულ უნდა იქნეს

მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტის – ISPM 15-ის შესაბამისად;“.

2. მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ ხორბლის ფქვილზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურის განსაზღვრისას;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი **გიორგი გახარია**